ISSN 0132-6015

ნიანგი

1
იანვარი 2003
ფასი 59 თეთრი
(№1905)

ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?

საბირისა და იუმორის ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნიანგის" წაკითხვა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის!

136
2003



ნახ. მურთაზ აბაშიძისა

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა



თემა მერაბ სიხარულიძისა

ნახ. მალხაზ კუხაშვილისა

ინტერაქტიური გამოკითხვა

რომელი პარტია რომელი ქართული ზღაპრის
და მოთხრობის რომელ პერსონაჟს მოგაგონებთ?

მოქკავშირი - რუხ მგელს
ედპ - წითელქუდას
ტრადიციონალისტები - ბაყბაყდევს
ლეიბორისტები - ცისკარას
ნაციონალისტები - ნაცარქექიას
ახალი მემარჯვენეები - . . . . . .
აღორძინება - მეკობრეებს
მრეწველები - მეჯღანუაშვილს
სოციალისტები - . . . . . .

მრავალწერტილები თავად შეავსეთ!...

ოდა მთავრობას

ხალხის კეთილდღეობისთვის
თავს არ ზოგავს, ძვრება კანში.
დღენიადაგ ზრუნავს ჩვენზე,
რომ მივიღოთ გრძელი ტრანში.
იქნებ რამე გამოვიდეს
ჩვენთვის, საბოლოო ჯამში,
დღეს კი, რაც რომ ჩვენთვის უნდათ,
იყოს სამთავრობო ჯანში.
ჩვენზე ზრუნავს, ჩვენთვის იღვწის,
შინ თუ გარეთ, ზღვაზე, ხმელზე,
მისი ზრუნვა, ვით თილისმა
დავიკიდოთ უნდა ყელზე!

ა. ლენიძე

საქართველოს პარლამენტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შ.პ.ს. „ო-ჰო-ჰო“, რომელიც იკვლევს ფიზიკურ-სულიერი ვარჯიშების ქართულ სისტემას („უ-შუს“, „ფულსუს“, „კუნ-ფუს“ და სხვათა ალტერნატივა). „ო-ჰო-ჰო“-ს მიმდევარი აღარ ხედავს განსხვავებას რეალურსა და წარმოსახვითს შორის, რაც კმაყოფილებისა და ბედნიერების განცდას აფიქსირებს. ერთთავად გგონია, რომ ხელფასი გაგიათმაგეს, გადასახადები ათჯერ შეგიმცირეს, ოპერაცია უფასოდ გაგიკეთეს, რუსული ბაზები გაუქმდა, აფხაზეთი და სამაჩაბლო ისევ შენია, ქრთამით საქმე აღარ კეთდება, ყველა ტერორისტი დაიჭირეს, ადამიანის გატაცება, მკვლელობა, ყაჩაღობა წარსულს ჩაბარდა. მთავრობის მიერ მიტაცებული ხალხის ფულები ხალხს დაუბრუნდა, პენსიები გაათმაგდა და ა.შ. წარმოსახვას ავარჯიშებ და განუწყვეტლივ „ო-ჰო-ჰო“-ს გაიძახი...

ვარ სექსუალური ქალბატონი. უმაღლესი განათლებით. ვლაპარაკობ უცხო ენებზე... არ ვფეხმძიმდები. ნონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ჟურნალისტის რეპორტაჟი

ჩვენ ვიმყოფებით სირიის დედაქალაქის აეროპორტში. საქართველოდან წარგზავნილ საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციის წევრებს ადგილობრივი მოსახლეობა და ოფიციალური წრეების წარმომადგენლები ყვავილებით და ტრანსპარანტებით შეგვხვდნენ. ტრანსპარანტებზე დიდი ასოებით ეწერა:

„ქართველებო, სირია ადგომით გეგებებათ!“

„თქვენია ჩვენი სირია!“ და ა.შ. იქაური თარჯიმანი, რომელმაც ქართული ენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეისწავლა, გაბრწყინებული სახით გვითარგმნის სირიის საელჩოს წარმომადგენლის მისალმების ტექსტს:

„ძვირფასო ქართველო სტუმრებო, კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება. ჩვენს ტრანსპარანტებზე ყველაზე დიდი ასოებით დაგწერეთ თქვენ, როგორც ყველაზე ღირსეულნი და ლამაზები მათ შორის, ვისაც კი ოდესმე სირიაზე ფეხი დაუდგამს!“

შემდეგ, დელეგაციის წევრები მანქანებში გაგვანაწილეს და მოტოციკლისტთა კორტეჟის თანხლებით სირიის დედაქალაქისკენ გავეშურეთ. გზადაგზა ადგილობრივი მოსახლეობა საქართველოს დროშებს აფრიალებდა, ხელს გვიქნევდა, ყვავილებს გვესროდა და ქართულად მოგვძახოდა: „საქართველო - სირია!“ „საქართველო - სირია!“

სირიულ შთაბეჭდილებებზე უფრო ვრცლად, შემდგომ რეპორტაჟებში ვისაუბრებთ.

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი

ყურბან სირაძე.

თემა და ნახ. ჭაბუკა. ლეისაძისა



ნახ. მალხაზ კუხაშვილისა

დღეის დიალოგი

- როგორ ხარ?
- ცუდად. შენ?
- მეც ცუდად. ოჯახი?
- ცუდად. შენი?
- ცუდად. მოყვრები?
- ცუდად. შენი?
- ცუდად. მართლა, გუგა როგორ არის?
- კარგად.
- რას მეუბნები?! რა დაემართა?!
- ათი წელია სძინავს და ვერ აღვიძებენ.
- კაი, რა! ეგ ხო სულ იღბლის ბუკეტი იყო!
- აბა, წავედი. ცუდად!
- სულ ცუდად!

აბრუნდიზმები

-არც მწვადს წვავდა და არც-შამფურს, ვინაიდან არც ერთი არ ჰქონდა.

-კაცის მოტანილს ქალი წაიღებსო.

-სარკეშან შენმან გამოვაჩინოს.

-მითხარი, ფული რომელი ქვეყნის ბანკში გაქვს და გეტყვი რა ნაძირალაც ბრძანდები.

-არც ფიცი მწამს და არც ბოლო მაკვირვებს.

ეაწეეეებ დამსხვრეულ ბოთმინების ფიალებს. ოპტიმისტი. ● ვსვლი გატეხილ თავს გატეხილ სახელზე. ტრაემირებული.



ფული არ მაქვსთ და გაფუჭებულ კბილს ოქროს კბილიც ამოვაყოლე

ფულ-ხელ შეწყობილი...



სახელმწიფო მოხელე

სასკოლო ტესტი

ევრიპიდემ დაწერა „მედეა“.
შექსპირმა „ლედი მაკბეტი“ დაწერა.
პუშიკინმა ჯერ „კაპიტანის ქალიშვილი“ დაწერა, შემდეგ „პიკის ქალი“.
ლ. ტოლსტოიმ დაწერა „ანა კარენინა“.
ილიამ დაწერა „ოთარაანთ ქვრივი“.
ა. ყაზბეგმა დაწერა „ელისო“.
ნ. ლორთქიფანიძემ „თავსაფრიანი დედაკაცი“ დაწერა.
ლ. ქიაჩელმა დაწერა „თავადის ქალი მაია“.
გალაქტიონმა „მერი“ დაწერა.
რ. ჯაფარიძემ „ჯარისკაცის ქვრივი“.
ჰოდა! ვინ როგორ დაწერა და როდის დაწერა, ამის დაწერა, შორს წაგვიყვანს. სჯობს აქ გავჩერდეთ!

ამოწერა ა. ...

რომის პაპი თბილისში

რომის პაპი მაძღარია, რომშია,
მე რა ვუყო,
ჩემს თბილისში
რო მშია?

კახური

- პარლამენტში მთავარი მა იმუნიტეტია?
- დიახ, დიახ, მთავარია მაიმუნი ტეტია.

როცა გულში პრეზიდენტის „სიყვარული“ ყარს, ამიტომაც ავდექი და მივაშურე ყარსს.

ბატონ თამაზ ნადარეიშვილს!

ძალა შეგვწევს, თუ არ შეგვწევს,
ჩავჭიდებივართ ხავსსაო,
სანამ არძინბას არ შენცემ
მანამ არ გაგცემ ხმასაო!

ჯანსუღ ჩარკვიანი

მხიარული პანაშვიდი

შორსმჭვრეტელი და თადარიგიანი ჯელი იყო თოხლიაურელი მიხო თაფლიწონაშვილი. აბა, მის გარდა ვინ მოიფიქრებდა ბრეჟნევის დასაფლავების დღეს სამგლოვიარო მუსიკის ჩაწერას მაგნიტურ ფირზე „ას წელს მიტანებული პაპა ჰყავდა, დღე-დღეზე წერილი უნდა წაელო საიქიოს და მიხომაც საქმე წინ წაიგდო.

თვეც არ გასულა და „გავიდა გაღმა“ შიო თაფლიწონაშვილი, ერთი კაცური კაცი, კარგი მევენახე და კიდევ უკეთესი პურისმჭამელი კახელი.

ჩართეს კლასიკური სამგლოვიარო მუსიკა, ნაღვლისმომგვრელი და ცრემლის მომდენი.

დამწუხრებული ნათესავ-მეზობლები უვლიდნენ გარშემო კუბოს. იწვა მშვიდად თეთრწვერა შიო პაპა, თითქოს ისიც სმენად ქცეულიყო.

უცებ მუსიკა შეწყდა და ლევიტანისებურმა ხმამ, ნაღვლიანად და მაღალფარდოვნად განაცხადა:
- „მოსკვა ვ ტრაურე“, ჯერ გაშტერდნენ მეპანაშვიდენი, მერე ისეთი კისკის-ხარხარი აუტყდათ, ქორწილის აპოთეოზი ეგონებოდა კაცს. ძლივს ასწრებდნენ ერთმანეთს.

ნოდარ ...

მაქირავებს თავს ქაქლის სამტვერე

ნახ. მალხაზ კუხაშვილისა

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, შთააგონე მთავრობას ჩემსას, მომცეს ხელფასი, რათა ვარჩინო ცოლ-შვილი ჩემი. ამაცილე ქრთამსა და უკანონო გზით ფულის შოვნასა. მომეც დროულად კუთვნილი გასამრჯელო. თავაწყვეტილი - მდიდარი მძღოლნი ფირმა მანქანებით რომ დაჭრიან, დამაჭერინე. შემიქმენ ისეთი მდგომარეობა, რომ არ მიხაროდეს ავარია, წესრიგის დამრღვევნი, საწყალი მძღოლნი ჭკუის დარიგებით გამასტუმრებინე. მომეც საშუალება პატიოსნად ვემსახურო ჩემს საქმეს.

გვევედრები! ჩემი ხელფასით საახალწლოდ მაყიდინე ინდაური და გოჭი...

თბილისური მოტივები — ფოტო ვარლამ გენგიურისა

პოლიტიკური ლექსიკონი

დემოკრატია - პრეზიდენტისა და ერთმანეთის გინება, ლეგიტიმური მუშტი-კრივი სამთავრობო და საპარლამენტო დონეზე.

თავისუფლება - უძრავ-მოძრავი ქონებისაგან, ხელფასპენსიისაგან, სამუშაო ადგილებისაგან, სინდის-ნამუსისაგან.

დამოუკიდებლობა - შეგიძლია საკუთარი ინიციატივით, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ რეგიონში, ნებისმიერი საშუალებით დაუსვა წერტილი შენს ამქვეყნიურ არსებობას.

ფაშისტი - ფაშის თაყვანისმცემელი.

ნოსტალგია

რა დრო იყო, გახსომს, მიხო?
საქმეც იყო, ფულიც იყო.
გახსომს, როგორ მოილხენდი?
სუპ რო ჭამდი, არაყ ლევდი?!
რა დრო იყო. . .
რა დრო იყო! . .
დღეს კი ყველა გამოვქლევდით.

ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილება

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, საირმის გორაზე, შგლების მომრავლებასთან დაკავშირებით, 2003 წლის პირველი იანვრიდან "საირმის გორას" ეწოდოს "შგლების გორა".

რეკლამა

მოქალაქე მ.გ-ლის ბინაში გასულ სამშაბათს, ღამით, გაჩნდა ხანძარი, რომელიც დროულად ჩააქრეს ოჯახის წევრებმა. დაიწვა მხოლოდ მ.გ.-ლის საბანი და მისი კუთვნილი სხეულის ერთი მეათედი. როგორც დადგინდა, ხანძრის მიზეზი გახდა "ქემელის" ღერი, რომლის წევაში ნასვამ მ.გ.-ლს ღრმად ჩაეძინა. "ქემელი" კი, როგორც ცნობილია, ბოლომდე იწვის. ამ მხრივ დაუფასებელია ჩვენი, ერთვნული უფილტრო სიგარეტის, ხანძარსაწინააღმდეგო თვისებები: იგი არ იწვის, თუ განუწყვეტლივ არ ქაჩე. მოსწიეთ უფილტრო სიგარეტი, იგი იწვევს ნაადრევ სიკვდილს, მაგრამ დიდხანძრისგან დაზღვეული იქნებით!

კორუმპ.-თა სია იხ. შემდეგ ნომერში

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯაბეკა დეისაძისა

- ვაიმე, ბატონო ედუარდ, თქვენი ნაჩუქარი პარაშუტი არ იხსნება!
- ეგ პარაშუტი კი არა, ზურგჩანთაა ჩემო ზურიკო!

ნახ. ვახტანგ კუციასი

ტერორისტი ხარ შვილო?
არა დედიჯან, კბილი მტკივა!

გაფუჭებული ტელეფონი

ალექსანდრ ბოლოკი
მეფისტოფილო
პრასის მუშაკი
ზურნალისტი
ღომი და მშვიდობა

გურამის ციხე
რუსი მგელი
გარემოს ძარცვა
ვისი ფული გსურს

ი(სტ)რონიული ვიქტორინა

1. რამდენი წლის იყო იტალიელი ქალბატონი როზანა დალა კორტა, როდესაც ვაჟიშვილი გააჩინა?
   ა) 18 ბ) 70 გ) 63 დ) 33

2. რით ართობდა ბიზანტიის იმპერატორის, იუსტინიანის მეულლე სტუმრებს 600 წელს?
   ა) თოჯინებით
   ბ) ცეკვით
   გ) საკუთარი სასქესო ორგანოების ჩვენებით
   დ) სიმღერით

3. რა მდგომარეობაში გარდაიცვალა სპარსეთის მრისხანე მეფე ქსერქსე?
   ა) თევზაობის დროს
   ბ) ხარხარის დროს
   გ) ჭამის დროს
   დ) სასიყვარულო აქტის დროს

4. რა არ მოსწონს ლოგინში ჰოლივუდის ვარსკვლავს, (კლიჩკით „ცხელი ტრუსიკი") ჯულია რობერტსს?
   ა) ყავის სმა
   ბ) სექსი
   გ) საღამურით ძილი
   დ) მასაჟი

5. სპორტის რომელ სახეობას ფლობენ ქართველი პარლამენტარები?
   ა) ფეხბურთს
   ბ) კალათბურთს
   გ) კრივს
   დ) ფიგურულ სრიალს

6. სად დაიბადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უისტონ ჩერჩილი?
   ა) სამშობიაროში
   ბ) საჯინიბოში
   გ) სკვერში
   დ) თეატრის ქალთა გასახდელში

7. რამდენი კილო დაიკლო წონაში პოპულარულმა ქართველმა მომღერალმა და ცნობილმა გურმანმა - „ნახევარმამუკა" ონაშვილმა?
   ა) 10
   ბ) 85
   გ) 20
   დ) 45

ვარიანტები: 1)-ბ, 2)-ბ, 3)-ბ, 4)-ბ, 5)-ბ, 6)-რ, 7)-ბ

შეადგინა ნანა ჯაჯანაშვილმა

ეინი ეოოსროვა

ჩვენს ქუჩაზე ერთი გაინთქმული მეძრეთაძე ცხოვრობდა. ის ძეძრთამეს, ისლა ძრაველსრიულიანი სასასლეგ და დიდი თანამდებობა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგ WORD



თარაზულად: 3. ის, რისი ცოდნაც აუცილებელი აღარ არის ჟურნალისტისთვის. 5. ადამი და ევა რომ ვერ ეგუებოდნენ ვერასგზით. 6. ჭიანჭველას სიყრმის მეგობარი. 9. სამუშაო საათებში სავალდებულო თამაში. 10. არიფი, "გოიმი". 12."სვეტების" დაწუნებული სარწეველა. 16. ქუთაისური ანეკდოტების გმირი. 17. მიხაკის ტყუპის ცალი. 18. ფირმა ქაჯი. 19. საზღვრის იქითა ქართველი, სიცოცხლე რომ ჩირად უღირს. 20. ბორბლებიანი ჯავშნოსანი ცხოველი. 23. რუსი იკა. 26. მეძვირე ხელოსანთა კავშირი. 28. განტევების კაცი დაწესებულებაში. 29. ვისთვის უკვდავი, ვისთვის მიწაში ჩასამხობი. 30. შენ და ის გამთენებელი ღამისა რომ ხართ. 31. რომ მოუშვებ და ველარ კეტავ. 32. გაზაფხულის ძვირფასი მაცნე.

ზვეულად: 1. ხუმრობით ნათქვამი სიმართლე. 2. ფუნა გორიების ოსტატი ქართველი პოეტი. 4. ბედის დამახასიათებელი თვისება. 5. ზოგჯერ ცრემლზე მწარე. 7. კვამლისა და ჭვარტლის დუეტი. 8. შურიან კაცს რომ ახრჩობს. 11. უდიპლომო სასიძოს მომავალი სიმამრის ოცნება. 13. ალკოჰოლისტის ჩაი. 14. კაიფში ჩავარდნის ერთობ ძვირი საშუალება. 15. ოსი ანტე. 21. ნ. დუმბაძის იუმორისტული მოთხრობის გმირი. 22. ცხოველი, რომელიც დაღუპა რქებმა. 24. აბსოლუტური რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში. 25. მუდმივი ოპოზიციონერი. 26. რომ გადი-გამოდის და ღირღიტაც ბანს ეუბნება. 27. სადაც საწყალ კაცს ატყავებენ.

პასუხები იხილეთ შემდეგ ნომერში.

ვაცხადებ საყოველთაო კონკურსს

საუკეთესო "სანიანგო" ნაწარმოებისათვის ჟანრების მიხედვით: პროზა-პოეზია, ნახატი-კარიკატურა, თემა.

მოწონებული ნაწარმოების ავტორი მიიღებს ჰონორარს, და გახდება ჟურნალ „ნიანგის“ მუდმივი თანამშრომელი.

გთხოვთ ახლავე დაფაცურდეთ და მომაწოდოთ მასალები ამ მისამართზე:

მთავარი რედაქტორი
ბეჟან სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია:
მურთაზ აბაშიძე
ჯაბუა ამირეჯიბი
მალხაზ კუხაშვილი (მხატ./ რედაქტორი)
ნოდარ მალაზონია
თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა)
მერაბ სიხარულიძე
ლოიდ ქარჩავა
ლერი ჩანტლაძე (ლიტ. რედაქტორი)
ჯანსუღ ჩარკვიანი
თამაზ წივწივაძე

ჟურნალ "ნიანგის" აწუობადაკაბადონებას, რეკლამის განთავსებასა და რეალიზებას უზრუნველყოფს შ.პ.ს. "ლოი".

ჟურნალ „ნიანგისა“ და შ.პ.ს. „ლოის“
მისამართი: 380008, თბილისი,
რუსთაველის გამზირი №42
ტელ: 93-19-42, 93-49-32, 99-55-54.
ტელ/ფაქსი: 99-78-95
ელ. ფოსტა: karchava-l@myoffice.ge

ჟურნალი გამოდის 1923 წლის 3 ივლისიდან.
რეგისტრირებულია:
ქ. თბილისის მთაწმინდის რ-ნის
სასამართლოს მიერ;
რეგისტრაციის №4/4-1263

ინდექსი: 76137

639/2

მობრძანდით ტრადიციულ საახალწლო სუფრასთან

გილოცავთ ახალ წელს !

რეკლამა

ტელ.: 99-78-95

კომპიუტერული სერვის-ცენტრი „ლი“

- **ტექნიკური და პროგრამული მომსახურება**
  - ახალი კომპიუტერის აწყობა ოპტიმალური კონფიგურაციით;
  - ნახმარი ტექნიკის გადაიარაღება-გაძლიერება;
  - მაკომპლექტებლების შერჩევა-დიაგნოსტიკა;
  - ტექნიკური და პროგრამული კონფლიქტების ლიკვიდაცია;
  - პროგრამების ჩაწერა და ინსტალაცია;
  - ოპერაციული სისტემის და დრაივერების დაყენება.
- **პროგრამირება და დიზაინი**
  - პროგრამების შედგენა ინდივიდუალური შეკვეთით;
  - მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა;
  - WEB გვერდების შედგენა, განთავსება და მართვა;
  - რეკლამების, აბრების, ეტიკეტების, WEB გვერდების დიზაინი.
- **კომპიუტერის ინდივიდუალური კურსები**
  - ოპერაციული სისტემა (სრული კურსი);
  - საოფისე პროგრამები (პროფესიონალური დონე);
  - ფასიანი კონსულტაციები.
- **საგამომცემლო სერვისი**
  - წიგნების, ბროშურების, გაზეთების, ჟურნალების დაკაბადონება და მომზადება გამოსაცემად;
  - აკრეფა, კორექტირება, რედაქტირება;
  - სატელევიზიო სარეკლამო რგოლებისა და ქუდების დამზადება.
- **თარჯიმანთა ბიურო.**
  - დოკუმენტაციის თარგმნა;
  - თარჯიმნის მომსახურება.

მისამართი: რუსთაველის გამზ. №42.

ტელ: 99-78-95